საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 5 20 0000796871

08/09/2020

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 35-ე მუხლის, 36-ე მუხლის, 39-ე მუხლის, მე-40 მუხლის პირველი პუნქტის, 41-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 42-ე მუხლის, 43-ე მუხლის, 126^1 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-9 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 მუხლის მე-8 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.
2. კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვრება სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) კონკურსის გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის ოდენობით.
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე სარგო განისაზღვრება 1900 (ათას ცხრაასი) ლარის ოდენობით.

4. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 2 (ორი) ადგილზე.
5. სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი;
6. გამოსაცდელი ვადა - 6 თვე;
7. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) განათლება - მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების ან/და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ცოდნა, რომელიც დასტურდება შესაბამისი კვალიფიკაციით (დიპლომი ან/და სამუშაო გამოცდილება);
გ) ინგლისური ენის (წერა და მეტყველება) ცოდნა - B2 დონეზე; ქართული ენის (წერა და მეტყველება - C2 დონეზე;
დ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel) კარგად ცოდნა.
8. კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი საკონკურსო თემატიკის ცოდნა:
ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
ბ) საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ“;
გ) საქართველოს კანონი ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;
დ) ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;
ე) ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
ვ) ,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება;
ზ) ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №89/ნ ბრძანება;
თ) ,,ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 6 მარტის №170-ე ბრძანება;
ი) ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG);
კ) ბოლონიის პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ზოგადი ცოდნა (ცენტრის ვებგვერდის -www.eqe.ge - ს ბმული - https://eqe.ge/geo/static/71/bologna-process).
9. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:
9.1. მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და სააპელაციო საჩივრების განხილვის პროცესების განხორციელება და კოორდინირება, კერძოდ:
ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების პროცესების განხორციელება და კოორდინირება - საავტორიზაციო, სტუდენტთა ადგილების

ზღვრული რაოდენობის გაზრდის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადის განხილვა, ავტორიზაციის მაძიებლობის ან საფასურის განსაზღვრის პროცესების განხორციელება, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დაგეგმვა-კოორდინაცია, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობა, ავტორიზაციის საბჭოს სხდომების ჩატარების ადმინისტრირება და კოორდინირება;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის განხორციელება და კოორდინირება - სააკრედიტაციო განაცხადის განხილვა, აკრედიტაციის მაძიებლობის პროცესის განხორციელება, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დაგეგმვა-კოორდინაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობა, აკრედიტაციის საბჭოს სხდომების ჩატარების ადმინისტრირება და კოორდინირება;

გ) ავტორიზაციის და აკრედიტაციის საბჭოების გადაწყვეტილებების, სხდომის ოქმებისა და ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნების საჯაროობის, მათ შორის ავტორიზაციის და აკრედიტაციის საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის და ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნების უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპულ რეესტრის (EQAR) მონაცემთა ბაზაში (DEQAR) განთავსების პროცესის კოორდინირება;

დ) სააპელაციო საჩივრების განხილვის პროცესის განხორციელება და კოორდინირება - განაცხადის განხილვა, წარმოებაში მიღების უზრუნველყოფა, სააპელაციო საჩივრის განხილვის საფასურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრის უზრუნველყოფა, სააპელაციო საბჭოს სხდომების ჩატარების ორგანიზება-ადმინისტრირება, სხდომის ოქმების, გადაწყვეტილებების გაფორმების და მათი საჯაროობის პროცესის კოორდინირება;

ე) საავტორიზაციო, სააკრედიტაციო, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადების, სააპელაციო საჩივრებისა და დამდგარი შედეგების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებისა და დამუშავების პროცესის კოორდინირება.

9.2. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება ბოლონიის პროცესის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების, მათ შორის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG) და ასევე სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების, სააპელაციო საჩივრების განხილვის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების მონიტორინგის გზით შემოწმების, სააპელაციო საჩივრების განხილვის პროცესების პერიოდული შეფასება, ანალიზი და განვითარების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება და სამსახურის უფროსის მოადგილისთვის, სამსახურის უფროსისთვის წარდგენა;

ბ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების განვითარების მიზნით, საერთაშორისო ექსპერტებთან, ორგანიზაციებთან და უცხოურ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან თანამშრომლობა, რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი წინადადებების წარდგენა სამსახურის უფროსის მოადგილისთვის და სამსახურის უფროსისთვის;

გ) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების მიზნით, თემატური ანალიზების განხორციელებისთვის საკითხების ინიცირება და თემატური ანალიზის განხორციელებაში მონაწილეობა.

9.3. ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსების მართვა და განვითარება, ავტორიზაციის, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესებში საერთაშორისო ექსპერტების ჩართვის უზრუნველყოფა, კერძოდ:
ა) ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსების განახლების მიზნით, შესაბამისი კანდიდატურების მოძიების პროცესის კოორდინირება;
ბ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტებისთვის ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების, ორგანიზება და ჩატარება, ასევე დამხმარე სახელმძღვანელოების, მეთოდოლოგიების, გზამკვლევების შემუშავება და მათ განვითარებაზე ზრუნვა;
გ) ექსპერტთა კორპუსის წევრთა საქმიანობის შეფასების პროცესის ადმინისტრირება და კოორდინირება, ექსპერტთა საქმიანობის შეფასება, განხორციელებული შეფასებების ანალიზი, პერიოდულად შესაბამისი ანგარიშების მომზადება და სამსახურის უფროსის მოადგილისთვის, სამსახურის უფროსისთვის წარდგენა;
დ) ექსპერტთა სამუშაო დატვირთვის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების, ასევე ექსპერტთა პირადი საქმების პერიოდულ მონიტორინგისა და განახლების პროცესების კოორდინირება;
ე) ექსპერტთა საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისი წინადადებების შემუშავება და სამსახურის უფროსის მოადგილისთვის, სამსახურის უფროსისთვის წარდგენა;
ვ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა საქმიანობასთან დაკავშირებით ცენტრში წარმოდგენილი საჩივრების განხილვის პროცესის ადმინისტრირება.
9.4. მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის პროცესების განხორციელება და კოორდინირება, კერძოდ:
ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შემოწმების მიზნით, ცენტრში შემოსული წერილების, საჩივრების შესწავლა და შესაბამისი რეაგირების უზრუნველყოფა;
ბ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების შესწავლის პროცესის კოორდინირება და შედეგების განხილვის უზრუნველყოფა ავტორიზაციის და აკრედიტაციის საბჭოების სხდომებზე;
გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ წარმოსადგენი თვითშეფასების ანგარიშების შესწავლის პროცესის კოორდინირება;
დ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით გეგმიურ და არაგეგმიური მონიტორინგის პროცესების განხორციელება და კოორდინირება, შედეგების განხილვის უზრუნველყოფა ავტორიზაციის და აკრედიტაციის საბჭოების სხდომებზე;
ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული მონიტორინგების, თვითშეფასების ანგარიშების შეფასებისა და დამდგარი შედეგების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების პროცესის კოორდინირება და ანგარიშის წარდგენა სამსახურის უფროსის მოადგილისთვის, სამსახურის უფროსისთვის.
9.5. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის სამუშაო შეხვედრების ჩატარება;
9.6. უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარებაზე ორიენტირებული, ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებებისთვის, ავტორიზაციის, აკრედიტაციის და სააპელაციო საბჭოების წევრებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის განმავითარებელი ღონისძიებების (ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები და სხვა) დაგეგმვა და განხორციელება;
9.7. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის რეკომენდაციების/სახელმძღვანელოების/მეთოდოლოგიების/გზამკვლევების შემუშავება და მათ განვითარებაზე ზრუნვა;
9.8. შესაბამისი კომპეტენციის მოქნე უცხოური ორგანიზაციის მიერ, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის მინიჭებული აკრედიტაციის აღიარების პროცესის ადმინისტრირება;
9.9. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად მის განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის შესწავლისა და შეთანხმების პროცესების ადმინისტრირება;
9.10. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მიერ განსახორციელებელი გარე შეფასებისათვის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეობა;
9.11. სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიერ განსახორციელებელი გარე შეფასებისათვის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეობა;
9.12. ავტორიზაციის ვადის გასვლამდე 9 თვით ადრე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლის შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ინფორმაციის მიწოდების პროცესის კოორდინირება;
9.13. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შედგენილი სპეციალურ ანკეტა-კითხვარში ასახული ინფორმაციის სისწორის გადამოწმების მიზნით, უფლებამოსილი ორგანოს ინფორმაციით უზრუნველყოფის პროცესის კოორდინირება;
9.14. სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში დამუშავებული/წარმოებული ინფორმაციის მიწოდება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის, მათ შორის ცენტრში საჯარო ინფორმაციის გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისთვის და ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოსთვის;
9.15. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან თანამშრომლობით განათლების ხარისხის მართვის ელექტრონული სისტემის (QMS) ადმინისტრირებისა და განვითარების პროცესების კოორდინირება;
9.16. საქართველოს მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად ცენტრში შემოსულ კორესპონდენციებზე დროული რეაგირების კოორდინირება;
9.17. კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი საქმიანობის ანალიზი და საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის წინადადებების შემუშავება და სამსახურის უფროსის მოადგილისთვის, სამსახურის უფროსისთვის წარდგენა;
9.18. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირება, შესაბამის საკითხებზე კონსულტაციების გაწევა და დაგეგმილ ტრენინგებში მონაწილეობა;
9.19. ცენტრის ფუნქციებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა, მათ შორის კომპეტენციის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ეფექტიანად განსახორციელებლად დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან თანამშრომლობა;
9.20. ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
10. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:

ა) საქმიანობის კოორდინაცია;
ბ) დროის ეფექტური მართვა;
გ) ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია;
დ) ანალიტიკური აზროვნება;
ე) გუნდური მუშაობა.
11. კონკურსში მონაწილე კანდიდატი ვალდებულია:
ა) კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი და პროფესიული გამოცდილების ამსახველი დოკუმენტაცია წარმოადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით;
ბ) შესაბამის ველში ატვირთოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი ან/და ცნობა შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე) ასლი;
გ) მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი);
დ) წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი.
12. კონკურსი ჩატარდეს 3 ეტაპად:
ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
ბ) კანდიდატის შეფასება;
გ) კონკურსის შედეგების გამოცხადება.
13. კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს გასაუბრების საფუძველზე, საკონკურსო თემატიკის ცოდნის, ვაკანტური თანამდებობისთვის დადგენილი უნარების, ინგლისური ენის კომპეტენციისა და მოტივაციის გათვალისწინებით, დანართი №1-ის შესაბამისად.
14. საკონკურსო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ქულათა სისტემის საფუძველზე, განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.
15. საკონკურსო კომისიის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის ქ. №1; ტელეფონი - (+995 32) 2 200 220.
16. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.
17. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
18. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
19. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ